

## სერვისის ცენტრების განთავსების დაგეგმვის ამოცანა ფაზი გარემოში

*ირინა ხუციშვილი*

[irina.khutsishvili@tsu.ge](mailto:irina.khutsishvili@tsu.ge)

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი,  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
უნივერსიტეტის ქ. 13, 0186 თბილისი, საქართველო

ნაშრომში განიხილება ობიექტების განთავსებისა და შერჩევის ამოცანის კონკრეტული შემთხვევა – სერვისის ცენტრების განთავსების დაგეგმვის ამოცანა.

ამ ტიპის ამოცანებში, ჩვეულებრივ, განიხილება კანდიდატი ცენტრების განთავსების რამდენიმე შესაძლო ვარიანტი – ალტერნატივები. თითოეული ალტერნატივა ფასდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შეწონილი კრიტერიუმების სიმრავლის საფუძველზე. ალტერნატივა, რომელიც განისაზღვრა როგორც საუკეთესო ყველა კრიტერიუმის მიხედვით, შეირჩევა განსახორციელებლად.

ნაშრომში შემოთავაზებულია გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება TOPSIS (დალაგების ტექნიკა იდეალურ გადაწყვეტილებასთან მსგავსების მიხედვით) მიდგომას ფაზი გარემოში. საექსპერტო შეფასებები ყოველი კრიტერიუმის მიმართ მოიცემა ფაზი-რიცხვების სახით. განიხილება შემთხვევა, როდესაც კრიტერიუმების წონები უცნობია. წონების შეფასება კეთდება შენონის ენტროპიის გამოყენებით, განზოგადებული მერყევი ფაზი-სიმრავლისთვის.

TOPSIS მეთოდის ალგორითმის თანახმად, ალტერნატივების რანჟირება ხდება ე.წ. დადებით-იდეალურ და უარყოფით-იდეალურ გადაწყვეტილებებთან მანძილის სიახლოვის მიხედვით. ამ მიზნით ნაშრომში გამოიყენება შეწონილი ჰემინგის მანძილი მერყევი ფაზი-სიმრავლის კონტექსტში.

**საკვანძო სიტყვები:** ობიექტების განთავსებისა და შერჩევის ამოცანა, ფაზი TOPSIS მიდგომა, შენონის ენტროპია, მერყევი ფაზი-სიმრავლე, ალტერნატივების რანჟირება.